**სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

20 მაისი 2024

NCDC 6 24 00536031

მოქალაქე ანა აბაშიძეს
(მის. ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #21,
ტრელ.: 592 142 002)

ქალბატონო ანა,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 2 აპრილის # 375932 განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.

გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას (1. 2018 წლიდან, 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით რამდენი იყო/არის შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობა? 2. 2018 წლიდან, 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით რამდენი იყო/არის შტატში მყოფი თანამშრომლების რაოდენობა? ) თანდართული დანართის შესაბამისად.

რაც შეეხება გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პრემიას/დანამატს/ჯილდოს გაცნობებთ, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიასათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრებისა და დროებითი ღონისძიებების სახით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 12 აგვისტოს № MOH 1 22 00000070 ბრძანებით თამარ გაბუნიას - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, დაეკისრა ცენტრის გენერალური დირექტორის მოვალეობის/ფუნქციების შესრულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის არსებობის პერიოდში, 2022 წლის 15 აგვისტოდან.

ამავე ბრძანების საფუძველზე, ცენტრის გენერალური დირექტორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული აუცილებელი მატერიალურტექნიკური ბაზისა და სხვა ხარჯების უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. შესაბამისად თამარ გაბუნია - გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი ცენტრში ხელფასს/პრემიას/დანამატს/ჯილდოს არ იღებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იურიდიული სამმართველოს უფროსი
ლალი ებანოიძე